MES 9 20 0001189751

10/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:20 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:16სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
16. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი	
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I	
2.	ქეთევან ჯიჯეიშვილი		პროგრამის	I	

			ხელმძღვანელი		
3.	მარი ჯიქია		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი	I	
4.	სოფიო მიდელაშვილი		პროფესორი	I	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ივანნა მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირკალი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
11	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ ., N77, თბილისი, სასწავლო კორპუსი N6, 0175, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ზურაბ გვიშიანმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირაკლი მანველიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან დააზუსტა მხოლოდ სარეკომენდაციო ნაწილი უნდა წარედგინა, თუ რეკომენდაციების საფუძვლები

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, რეკომენდაციების განმარტება.მიუხედავად იმისა, რომ პუნქტებად იყო გამოყოფილი. საბჭოს წევრებისთვის რამდენიმე რეკომენდაცია საჭიროებდა განმარტებას. მისი თქმით, ზოგიერთი რეკომენდაცია მეორდებოდა და თუ საბჭოს წევრები ვერ გაიგებენ რეკომენდაციების სამართლებრივ საფუძვლებსა და არგუმენტაციას, მათი განხილვა გაუჭირდებოდათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებდა „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამას და 2020 წლის 31 დეკემბრამდე ჰქონდა აკრედიტაციის ვადა, თუმცა უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ახალი პროგრამის სტატუსით განხორციელებულიყო.

მისი თქმით, წევრების საუბრიდან შეიტყო, რომ მსგავსი პროგრამა სააკრედიტაციოდ უკვე შემოტანილი იყო, თუმცა დაწესებულებამ გაიწვია, აღნიშნულმა საკითხმა მისთვის ბევრ ფაქტს მოჰფინა ნათელი, რადგან ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კითხვები, რომლებზეც ვიზიტის დროს პასუხები ვერ მიიღეს. მაგ., სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან შეიტყვეს, რომ იყო წინამდებარე პროგრამა, თუმცა კითხვაზე რამ გამოიწვია ახალი პროგრამის სტატუსით აღნიშნული პროგრამის შემოტანა, ვიზიტის დროს დაწესებულებისგან პასუხი ვერ მიიღეს.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. აუცილებელია პროგრამის მიზნები მკაფიოდ პასუხობდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და პასუხობდეს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნას და გაცნობიერებას“;

2. აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა;

3. აუცილებელია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ისეთ განმსაზღვრელ ელემენტთან როგორიცაა „ცოდნა და გაცნობიერება“. აუცილებელია პროგრამის სტრუქტურა

ისე აიგოს სასწავლო კომპონენტების მიმართულებით რომ მან უზრუნველყოს კურსდამთავრებულის ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვაც;
4. აუცილებელია საგანმანთლებლო პროგრამის შედეგების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების სწორად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რითიც ფასდება პროგრამის ეფექტურობა სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით;
5. აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს ჩარიცხვის წინაპირობად მოთხოვნილი სადოქტორო ნაშრომის პროექტის მოთხოვნები და შესრულების სტანდარტები;
6. აუცილებელია გაიზარდოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მოცულობა და დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;
7. აუცილებელია, რომ მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (სავალდებულო); ბ) კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში (სავალდებულო) და გ) სწავლების მეთოდები (სავალდებულო). სამეცნიერო კვლევის პროექტები - არჩევითი;
8. აუცილებელია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსი და თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან სასწავლო კურსის დასახელება სწავლების მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
9. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია ზოგიერთი სასწავლო კურსში მოხდეს შეფასების მეთოდების ვალიდაცია, კურსის შედეგებზე გასვლის კუთხით;
10. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აღნიშნული დარგის კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა გაუმჯობესდეს დოქტორანტების ხელმძღვანელობის და დისერტაციების კვლევითი მეთოდოლოგიის ხარისხი, რისთვისაც საჭიროა დაიხვეწოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე;
11. აუცილებელია უშუალოდ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში (წარდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე - სამეცნიერო პროექტების ანგარიში - ერთი ან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში, მიიღო მონაწილეობა ღონისძიებების უმეტესობაში);
12. აუცილებელიახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეტი ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში;
13. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. მოხდეს მათი კომპლექსურ, სისტემურ მექანიზმებად ჩამოყალიბება;
14. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფილი გამოყენებისათვის საჭიროა სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების ჩატარება, მათი სისტემატიური მონიტორინგი.

16:30 საათზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი თურქია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან დიდი მადლობა გადუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომლებმაც კვალიფიციურობისასა

და პროფესიონალიზმის შესბამისად უმაღლეს დონეზე ჩაატარეს ვიზიტი, რაც იგრძნობოდა, არა მხოლოდ წარმოდგენილ დასკვნაში, არამედ უშუალოდ ვიზიტის დროსაც. მან დაწესებულების სახელით გამოხატა დიდი პატივისცემა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ.
რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ეცდებოდნენ წარმოედგინათ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრება, თუმცა ისინი ბევრ სტანდარტთან მიმართებითეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რადგან გაიცა სასარგებლო რჩევები, რომლებსაც დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა და მოახდენდა პროგრამის მოდიფიცირებას.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დეტალურად განიხილეს რეკომენდაციები:
რეკომენდაცია 1 - აუცილებელია პროგრამის მიზნები მკაფიოდ პასუხობდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და პასუხობდეს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნას და გაცნობიერებას“ - მისი თქმით წარდგენილი სააკრედიტაციო სადოქტორო პროგრამის მიზნები პერსონალის, საქმიანი პარტნიორებისა და შემუშავებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრებით არის გაწერილი ის მიზანი, რაც მიაჩნიათ, რომ უნდა ყოფილიყო აღნიშნულ პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმახაზგასმით განმარტა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამის მიზნები: კვლევითი საქმიანობისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებდა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ორიგინალური და სისტემური კვლევის წარმოებას საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ; ახალი ცოდნის გენერირების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენდა სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა–განვითარებაში; ხელი შეუწყოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით მცოდნე აკადემიური კადრის მომზადებას.
დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ზემოაღნიშნული მიზნები აბსოლუტურ შესაბამისობაში იყო საფეხურთან, რომელიც მოცემული იყო მერვე საფეხურის აღმწერში, რაც მკაფიოდ იყო წარდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში“, მათ მიაჩნდათ, რომ არ იყო სავალდებულო, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ყოველთვის შეიძლებოდა მსჯელობა და გარკვეული ცვლილებების შეტანა.ამაზე უარს დაწესებულება არ ამბობდა, თუმცა მიაჩნდათ, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა გამართული იყო სტანდარტთან მიმართებით, მათ შორის განათლების მერვე საფეხურთან მიმართებითაც.
მან აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს ყურადღება გაამახვილა ერთ მნიშნველოვან გარემოებაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპოტრის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე“, სადაც წარმოდგენილი იყო განზოგადებული სწავლის შედეგები საფეხურების მიხედვით, მერვე საფეხურთან შინაარსობრივად პროგრამა ნამდვილად შესაბამისობაში იყო. მათ შორის, სირთულეც კი, თუმცა მიზანი ვერ იქნებოდა უსასრულოდ ფორმულირებული და დიდი მოცულობის. ძალიან მკაფიოდ ჩანდა მისაღწევი სწავლის შედეგები, თუ რას ემსახურებოდა პროგრამა მთლიანობაში თავისი თემატიკით, იდეოლოგიით, იმ ცხადი და განათლების საფეხურთან შესაბამისი შედეგებით, ამ საკმაოდ კარგად ფორმულირებული მიზნებით, რაშიც დაწესებულების წარმომადგენლები პრობლემას ვერ ხედავდნენ.
რეკომენდაცია 2 - აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არა მხოლოდ ამ პროგრამაში, არამედ ყველა მიმართულებით უნივერსიტეტი და ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, მათ ჰყავთ ძლიერი, გამოცდილი სტრუქტურები პარტნიორებად, არა

მხოლოდ სტატუსიდან გამომდინარე, არამედ საქმიანი შედგებიდან გამომდინარეც, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ფუნქციონირებადი ორგანიზაციები, მათ შორის დაწესებულების აკადემიური პერსონალის შემადგენლობაშიც არიან ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები. დაწესებულებას დამსაქმებლებთან აქვს საკმაოდ კონსტრუქციული დიალოგი შესაძლებლობების მაქსიმუმის გათვალისწინებით. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ აზრთა თანხვედრა ვერ ხდება, თუმცა კონსესუსი უმრავლეს/პრინციპულ საკითხებში მიღწეულია, კონსესუსი პოზიტიური გაგებით, რადგან დათმობა ემსახურება მიზანს, რომ მიიღონ უკეთესი შედეგი. ამასთანავე, დაწესებულებისთვის უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა/სტუდენტთა მოსაზრებები და რაოდენობრივი მაჩვენებლიდანაც ჩანს მიმართულების მოთხოვნადობა, რომელიც შესაშურია საქართველოს პირობებში და ფაკულტეტი, როგორც ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ასევე, ერთხმად აღიარებულია, რომ ფაკულტეტის მენეჯმენტი უზრუნველყოფს წინსვლას, რაც არ არის გამოწვეული მხოლოდ კეთილგანწყობით, გამოწვეულია იმ პროდუქტებითა და აქტივობებით, რომელსაც ფაკულტეტი ყოველდღიურად, პანდემიის პირობებშიც კი ახორციელებს.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ შესაძლებელია თავად კარგად ვერ ახსნეს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ანალოგიურ მიმართულებაზე სააკრედიტაციო პროცესი შეწყდა და შემდეგ ახალი პროგრამის სტატუსით განხორციელდა აღნიშნული პროგრამის წარდგენა, რის უფლებასაც კანონმდებლობა იძლეოდა. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ფუნქცია არა მხოლოდ ყოველდღიური მართვაა, არამედ, მათი ფუნქციაა ლეგალური გზებიდან საუკეთესო, ყველაზე ეფექტური, შედეგზე გამსვლელი ვერსიის შერჩევა. ამ შემთხვევაში კი დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა წარდგენილი განაცხადი ყოფილიყო ახალი პროგრამის სტატუსით. მისი მოსაზრებით საბჭოს წევრებიც და ექსპერტებიც მიხვდებოდნენ განმაპირობებელ ფაქტორებს, თუმცა დაწესებულებას ამით ფორმალური მხარე არ დაურღვევია, ასევე შინაარსთან მიმართებით ეს პროცესი ემსახურებოდა მხოლოდ გაუმჯობესებასა და პრობლემების მინიმუმამდე დაყვანას.
მისი თქმით, არ აქვთ პრეტენზია იმაზე, რომ ზოგადად პრობლემები არ არსებობს, თუმცა ეს არ ეხება უშუალოდ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებას, პრობლემები შექმნა მსოფლიოში არსებულმა რეალობამ. ასევე, შესაძლებელია თანამშრომლობა არ დადასტურდა პანდემიის პირობებში, ბოლო დღეებში, თუმცა თუ დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს რაღაცეები ვერ აუხსნეს ისე, როგორც ეკადრებოდათ და შეეძლოთ, ეს სავარაუდოდ გამოწვეული იყო პანდემიის გათვალისწინებით ჩატარებული დისტანციური ვიზიტის გამო. მან დაადასტურა, რომ თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან, არა მხოლოდ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ა.შ. მათ შორის პროფესიულ ასოციაციებთან, ყველა იმ ოფიციალური, იურიდიული სტატუსის მატარებელ და ასევე, აღიარებულ მეცნიერ მოღვაწეებთან, რომლების აზრი და შეხედულებები დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ღირებულია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების რაოდენობასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რაც შინაარსობრივ მხარეს არ ცვლიდა და არ უკარგავდა ღირებულებას დასკვნას.
რეკომენდაცია 3 - აუცილებელია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ისეთ განმსაზღვრელ ელემენტთან როგორიცაა „ცოდნა და გაცნობიერება“. აუცილებელია პროგრამის სტრუქტურა ისე აიგოს სასწავლო კომპონენტების მიმართულებით რომ მან უზრუნველყოს კურსდამთავრებულის ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვაც - დავით მახცილაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის მიზნით, წარდგენილია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის მქონე „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამა, რომლის განხორციელების პირობებში, სხვადასხვა მიმართულებით მისაღები ობიექტური მაჩვენებლები, რაც მისაღწევი

სწავლის შედეგების ნიშნულებთან არის დაკავშირებული ფორმალური ხასიათის იქნებოდა და დაწესებულების წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, თუ ამბობენ, რომ პროგრამა არის ახალი, თუნდაც ფორმალურად, სამიზნე ნიშნულები უნდა დაწესედეს იმ მონაცემებთან მიმართებით, რომლის დაწესებაც მიზანშეწონილია ახალი პროგრამისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მთელი რიგი დებულებები, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტურის საფეხურზე რა მინიმალური აქტივობები უნდა შესრულდეს, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტში, მაგ., კვლევით/სამეცნიერო სტატიების ნაწილში არის მოთხოვნა, რომ მინ. სამი სამეცნიერო ნაშრომი უნდა ჰქონდეს დოქტორანტს, აქედან მინიმუმ ერთი საერთაშორისოდ აღიარებულ გამოცემაში დაბეჭდილი, დაწესებულებისთვის ეს არის ის მინიმალური მოცემულობა, რომელიც სავალდებულოდ უნდა შეასრულოს დოქტორანტმა, რომ მიენიჭოს კვალიფიკაცია, დაწესებულებას აქვს სპეციალური ნიშნულები, თუმცა სხვა პროცენტების დაწესება ახალი პროგრამისთვის, მიაჩნდათ, რომ იქნებოდა ფორმალური, მხოლოდ დოკუმენტაციაში გაწერილი, ისეთი მონაცემების ჩადება, რომელიც მიმდინარე აქტივობების განხორციელების პირობებში აუცილებლად შეიცვლებოდა ობიექტური მიზეზების გამო და არ იქნებოდა დაფუძნებული არც ერთ საჭირო მონაცემზე, აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებმა პროცენტულობა ამ ეტაპზე ვერ განსაზღვრეს, თუმცა მათ 100%-იანი ნიშნულების დაწება შეეძლებათ ამ პროგრამის კურსდამთავრებულების ყველა მიმართულებით მაჩვენებლის ნახვის შემდეგ, პირველი გამოშვებიდან მინიმუმ 18 თვეში, პროგრამის განხორციელების პროცესში ყველა შესაძლო მონაცემის ანალიზის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამას შეავსებენ იმ სამიზნე ნიშნულებით, რომლებიც ამ ეტაპზე არ არის წარდგენილი, სხვა მხრივ ლოგიკური კავშირი პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში არსებობს იმ სრულყოფილების მაქსიმუმით, რომელიც შესაძლებელია ახალ პროგრამას ჰქონდეს და მიაჩნიათ, რომ ამ ნაწილში უნივერსიტეტმა გამართულად წარმოადგინა საკუთარი თავი განაცხადის დროს.

რეკომენდაცია 4 - აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს ჩარიცხვის წინაპირობად მოთხოვნილი სადოქტორო ნაშრომის პროექტის მოთხოვნები და შესრულების სტანდარტები - მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა წინა სხდომაზე სხვა პროგრამის აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნეს და აღნიშნულ სხდომაზეც გაიმეორეს, რომ მათ აქვთ პროექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები დამტკიცებული აღნიშნული ფაკულტეტის საბჭოზეც, მოთხოვნები არის მკაფიო და ცხადი, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ, რადგან პროგრამის განმახორციელებლების სრული შემადგენლობა ესწრებოდა საბჭოს, ამ შემთხვევაში კი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შეეძლო დეტალურად წარედგინა ინფორმაცია, თუმცა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებას არ უდევს ვებ-გვერდზე განპირობებულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრალეულობით, რომელიც ვერ ანებებს თავის პროფესიას თავს და გამოდის იმ სამართლებრივი ლოგიკიდან, რომ თუ ახალ პროგრამაზე საუბრობენ, ძველ პროგრამას არ აქვს ასეთ განაწესი წინაპირობად და ახალ პროგრამაში, რომელშიც ჩაიდო ეს პირობა, ახალი პროგრამის რეალიზების უფლების მოპოვების შემთხვევაში შეეძლებათ ამ დოკუმენტის ვებ-გვერდზე განთავსება, სხვა მხრივ, სადოქტორო პროგრამის განმახორციელებლებად არ ითვლებიან, თუ პროგრამა ვერ მიიღებს აკრედიტაციას, ამ ლოგიკის შესაბამისად მისი „ბრალით“ ეს ინფორმაცია არ დევს ვებ-გვერდზე და მიიღებენ თუ არა აკრედიტაციას ერთ ღილაკზე დაჭერით დაიდება ეს ინფორმაცია და მომავალში ჩარიცხვის ყველა მსურველს წინასწარ ექნება ინფორმაცია თუ რა იგულისხმება სამეცნიერო პროექტის წარდგენის მოთხოვნაში.

რეკომენდაცია 5 - აუცილებელია გაიზარდოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მოცულობა და დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას -

მისი თქმით, ცოცხალი პროცესია სასწავლო პროგრამის შედგენა და ძალიან ბევრი განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სამუშაო გუნდშიც, თუ რა, როგორი შემადგენლობით, რა დოზით, თემატიკით და ა.შ. უნდა ჩამოყალიბდეს შინაარსობრივი სტრუქტურა საგანმანათლებლო პროგრამის, განსაკუთრებით ცხარე, პროფესიული კამათი მიმდინარეობს დოქტორანტურის საფეხურზე, მან განმარტა, რომ არ სურს საბჭოს ეგონოს, მხოლოდ ლამაზი ფრაზებით საუბრობს, თვითონ ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის სტატუსით მეორე კვირაა რაც წარმოდგენილია უნივერსიტეტში, თუმცა წინა პერიოდში იყო რექტორის მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, ზემოაღნიშნული კამათი უფრო წინა პერიოდის არის და მის თვალწინ ხდებოდა, ამიტომ არ საუბრობს მხოლოდ მოსმენილით ან იმისთვის, რომ საბჭოს მოაწონოს თავი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბოლოოდ კონსესუსი, სპეციალისტებისა და წამყვანი პროფესორებისა, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას იყო ის, რომ სადოქტორო პროგრამა თავისი მიზნით, სირთულითა და შესაბამისი საფეხურით, ეს არ არის პროგრამა, რომელსაც პროფესიაში შეყავს ადამიანი და პროფესიულ მიმართულებას (წმინდა დარგობრივ პროფესიულ მიმართულებას) უძლიერებს, ეს არის პროგრამა, რომელზეც მინიმუმ მე-7 დონის (მაგისტრატურის) კურსდამთავრებული ირიცხება და რა თქმა უნდა, თუ რა უნარები, კომპეტენცია და ცოდნა უნდა ჰქონდეს მათ შორის ავტონომიურობის, საკმაოდ ცხადად არის მითითებული „კვალაიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში“, ის, რომ აპლიკანტს თავად უნდა შეეძლოს ცოდნის გაღრმავება, მათ შორის დარგობრივი ცოდნისაც და პროფესიული განვითარება, დაწესებულებას მიაჩნია, რომ მათ აპლიკანტს ამ ტიპის შედეგები დაძლეული აქვს და შესაბამისად, პროგრამის გადატვირთვა ამ მიმართულებით აღარ ჩაითვალა მიზანშეწონილად, საწინააღმდეგოდ იმ შეზღუდული კრედიტების ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში და პრაქტიკულად ამის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებს და მითუმეტეს აღნიშნული ფაკულტეტი არ დაიწყებს. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტი მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტებით არის დაკომპლექტებული, პრაქტიკულად ჩათვალეს, რომ ძირითადი ორიენტირი უნდა გაეკეთებინათ იმ მისაღწევ შედეგზე, რომელიც არის ერთი თვე ღირებული, მომავალში აღიარებული და ძლიერი სამეცნიერო პერსონალის/კადრის მომზადება და მეორე მხრივ, ახალი ცოდნის ფორმირებაში ჩართულ პირს შეეძლოს ამ ცოდნის (მათ შორის აკადემიური კონტექსტით) გადაცემის შესაძლებლობა და მათი ლოგიკა შეზღუდული სასწავლო კრედიტების ფარგლებში ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ ამ ტიპის სასწავლო კურსებით გაეჯერებინათ სასწავლო კომპონენტის მოცულობა.

რეკომენდაცია 6 - აუცილებელია, მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (სავალდებულო); ბ) კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში (სავალდებულო) და გ) სწავლების მეთოდები (სავალდებულო). სამეცნიერო კვლევის პროექტები (არჩევითი) - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით ეს არის ექსპერტების ძალიან სასარგებლო და აბსოლუტურად მისაღები რჩევა, თუმცა უშუალოდ სწავლის შედეგებთან მიმართებით და მომავალში იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და უწყვეტ რეჟიმში ვითარდება, მსჯელობენ და განვითარებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება აქვთ, რომელიც მოდის უნივერისტეტის ხარისხის სამსახურიდან და ასეთივე დამოკიდებულება აქვს უშუალოდ ფაკულტეტს, რომელიც ერთ-ერთი სანიმუშო ფაკულტეტია, როგორც მისი, ასევე საზოგადოების შეხედულებით, ექსპერტთა ჯგუფი აბსოლუტურად მართალია ამ ნაწილში, თუმცა ეს საკითხი ძალიან მწვავედ არ დგას, მითუმეტეს პროგრამის მიზნებზე ზეგავლენა არ აქვს. მისი თქმით „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა”, მათთვის წინა სხდომის მწარე გამოცდილებაა, დაწესებულების წარმომადგენლები და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელიც იყო ჩართული, მიუხედავად დროის სიმცირისა აქტიურ რეჟიმშია დაწყებული აღნიშნული სასწავლო კურსის განახლება, გაუმჯობესება, პრობლემა, რომელიც საბჭოს წევრმა წარადგინა წინა სხდომაზე, დაწესებულებისთვის იყო ძალიან მწარე, მაგრამ გასათვალისწინებელი, რაც სამწუხაროდ დაწესებულების წარმომადგენლებს გაეპარათ. მისი მოსაზრებით გარე შეფასების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის, რომ დაწესებულება უკეთესი იყოს და რა თქმა უნდა დაწესებულებას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, რადგან იძულებულნი არიან, რომ გახდნენ უკეთესები და გახდებიან კიდეც, უახლოეს საბჭოს სხდომაზე აღნიშნული სასწავლო კურსი სრულად იქნება მოდიფიცირებული, რადგან დამტკიცდება, რომლის პირველადი პროექტი გადის საბოლოო შემოწმებას გამადიდებელი შუშით, პროექტი უკვე მზად არის და მართვის ორგანოების პირველივე სხდომაზე დამტკიცდება სასწავლო კურსი, ასევე სასწავლო კურსებში: „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „სწავლების მეთოდები“, ეს არის ის რჩევა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და დაწესებულებას პრაქტიკულად უკვე გათვალისწინებული აქვს, უბრალოდ არ იყო დამტკიცებული ექსპერტთა ვიზიტამდე.
დავით მახვილაძემ შემდეგ რეკომენდაციაზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ქეთევან ჯიჯეიშვილს.
პროგრამის ხელმძღვანელი, ქეთევან ჯიჯეიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული მუშაობისა და წარდგენილი რეკომენდაციებისათვის.

რეკომენდაცია 7 - აუცილებელია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსი და თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან სასწავლო კურსის დასახელება სწავლების მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან - პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ როგორც მეექვსე რეკომენდაციაში დავით მახვილაძემ გააჟღერა, დაწესებულების წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მუშაობა და აღმოფხვრეს გადაფარვა სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“, რეკომენდაცია 7-ში საუბარია სწორედ აღნიშნულ სასწავლო კურსზე, როდესაც ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ გადაიხედოს სასწავლო კურსი, შემდეგ დაკონკრეტებულია სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“, აღნიშნულ სილაბუსში საუბარია კვლევის მეთოდებზე, რომელიც არის რელევანტური პოლიტიკის მეცნიერებებისათვის, სწავლების სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში „პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები“ არის გაერთიანებული ორი მეცნიერება - პოლიტიკის მეცნიერება (პოლიტოლოგია) და საერთაშორისო ურთიერთობები, ორივე მათგანს აქვს თავისი ამოცანები, პოლიტიკის მეცნიერება გადის ძალაუფლებრივ ურთიერთობაზე, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, სახელმწიფო ინსტიტუტებზე და ა.შ., საერთაშორისო ურთიერთობები გადის სახელმწიფოთა ურთიერთობებზე, ორგანიზაციებსა და ა.შ. ანუ ორივეს აქვს თავისი ამოცანა, თუმცა ორივე მათგანის ქოლგა არის პოლიტიკური მეცნიერებები. მისი თქმით, ექსპერტები დასკვნაში საუბრობენ იმაზე, რომ კვლევის ის მეთოდები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლების მიერ სილაბუსში გაწერილია არის რელევანტური ზოგადად, პოლიტიკური მეცნიერებებისათვის, რომელშიც შედის, როგორც პოლიტიკის მეცნიერება, ასევე საერთაშორისო ურთიერთობები, შესაბამისად სილაბუსი შეიცვალა, თუმცა მთავარი კვლევის მეთოდები, რომელიც აუცილებელი და რელევანტური საერთაშორისო ურთიერთობებში უცვლელი დარჩა, აქედან გამომდინარე სასწავლო კურსის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობას დაწესებულების წარმომადგნელები ვერ ხედავენ, მათი მოსაზრებით წარდგენილი რეკომენდაცია უფრო რჩევაა, ვიდრე რეკომენდაცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ საბჭოს განუმარტა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, რადგან ეს გარკვეულწილად კავშირშია რეკომენდაციასთან, ყველა ეტაპზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, როგორც წასულმა, ასევე მოქმედმა გადადგა ეს ნაბიჯები, რომელმაც გააუმჯობესა კონკრეტული მიმართულებები

და უნივერსიტეტი ახლაც იმყოფება ანალოგიური გამოწვევის პროცესში, უახლოეს წარსულში შეიცვალა უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, რასაც კანონმდებლობა მოითხოვს, თავისი ვადებია უმაღლესი განათლების კანონიდან გამომდინარე, აღნიშნულ ცვლილებებს უკავშირდება ის რეფორმებიც, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება, რაზეც ხარისხის სტანდარტის რეფორმის ქვეშაც ისაუბრებს, თუმცა ყველა მიმართულებით არის იმის სრული წინა, რომ უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს მაჩვენებლები, მათ შორის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის კუთხით გაუმჯობესება და გაძლიერებაა დაგეგმილი, რაც რეკომენდაციასთან არის ბმაში, მომდევნო წლის სექტემბერში უნივერსიტეტის ფარგლებში და მათ შორის ამ მიმართულებითაც დიდი მასშტაბის კონკურსია დაგეგმილი, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა, რადგან გარკვეული ვადით ჰყავთ არჩეული აკადემიური პერსონალი, აქ საუბარია ასეულობით პოზიციაზე. მისი თქმით, რეკომენდაცია, სადაც საუბარია, რომ აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გაზრდა კონკრეტული მიზნით, ეს მიზანი რა თქმა უნდა დაწესებულების მიზანთან სრულ თანხვედრაშია, არაჩვეულებრივი, კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი ყავს პროგრამას, თუმცა დაწესებულება ისევე, როგორც ყველა მიმართულებით, ამ მიმართულებითაც გაძლიერების მომხრეა. მისი მოსაზრებით, ეს იქნება ერთ-ერთი შესაძლებლობა მათთვის, რომ გაძლიერდნენ და ამასაც, როგორც სასარგებლო რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებენ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, მარი ჯიქიას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მარი ჯიქია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს.

რეკომენდაცია 8 - აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აღნიშნული დარგის კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა გაუმჯობესდეს დოქტორანტების ხელმძღვანელობის და დისერტაციების კვლევითი მეთოდოლოგიის ხარისხი, რისთვისაც საჭიროა დაიხვეწოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე - მან გააგრძელა დავით მახვილაძის მოსაზრება და უშუალოდ ფაკულტეტთან მიმართებით განაცხადა, რომ წარდგენილი პროგრამა, აგვისტოშიც იყო განსახილველად, ახალი პროგრამა და მხოლოდ აკადემიური პერსონალია განსაზღვრული განმახორციელებელ პერსონალში, ეს არის 28 ადამიანი, რომელთა პირადი საქმეები გადაგზავნილია პროგრამაში, თუმცა 7 ოქტომბრიდან, როდესაც სწავლა ოფიციალურად დაიწყო, მათ ყავთ მოწვეული პერსონალიც, თუმცა ამ დროისთვის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა გააჟღერეს, რომ საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად მოიწვევდნენ კვალიფიციურ კადრებს. კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ თითოეული აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსების საფუძველზე, სადაც მოთხოვნებში გაწერილია როგორი უნდა იყოს მათი კვალიფიკაცია, ასევე შეფასებულია მათი შრომები/მათი სამეცნიერო აქტივობები და ამის შემდეგ არიან ისინი შერჩეულები. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ დაახლოებით 10 მოწვეული პროფესორი 7 ოქტომბრიდან დაემატა ფაკულტეტს ამ მიმართულებითაც, თუმცა პროგრამა, როგორც ახალი პროგრამა ისე განიხილება და ამ ეტაპზე არ ყავს დოქტორატი, მათ მიაჩნიათ, რომ 28 აკადემიური პერსონალი და ამას დამატებული ოქტომბერში გაფორმებული ერთ წლიანი ხელშეკრულების საფუძველზე დამატებული 10 პროფესორი, სრულიად საკმარისია საწყის ეტაპზე აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად.

რეკომენდაცია 9 - აუცილებელია უშუალოდ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში (წარდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე - სამეცნიერო პროექტების ანგარიში - ერთი ან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში, მიიღო მონაწილეობა ღონისძიებების უმეტესობაში) - აღნიშნულ

რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტს, რომელიც მეოთხე წელია რაც დამოუკიდებელი ფაკულტეტია, ბოლო სამი წლის განმავლობაში დახარჯული თანხა არის, დაახლოებით 3800000 ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარებულია სამეცნიერო კვლევით პროექტებს, არამარტო აკადემიური პერსონალის კუთხით, არამედ დოქტორანტების ჩართულობის კუთხითაც, მან აღნიშნა, რომ ინფორმაცია ვიზიტის დროს მიწოდებული იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის. რეალურად, დასრულებულია ოცამდე პროექტი, რომელთა შედეგები დევს და ავტომატურად არის მინიშნებული არამარტო ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენილი/დამტკიცებული პროექტი, არამედ თითოეული მონაწილე პირის, როგორც მონაწილე პირების ფუნქციები, ისე მიზანი და სავარაუდო შედეგები, პროქტის შემდეგ ფაკულტეტის საბჭო იღებს ანგარიშს, რომლითაც ამტკიცებს ნამდვილად შესრულდა თუ არა კონკრეტული მიზნები, ზემოაღნიშნული ანგარიშები თითოეულ პროექტთან დაკავშირებით ფაკულტეტზე არსებობს, მან განმარტა, რომ არ იყო სათითაოდ მოთხოვნილი, თორემ შეეძლოთ ოქმებიც წარედგინათ.

მან განაცხადა, რომ ამ პერიოდისთვის დასრულებული 20 პროექტის გარდა მიმდინარეობს 21 სამეცნიერო პროექტი, სადაც, როგორც ძველი პროგრამიდან დოქტორანტები, ასევე აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს, რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, ეს ინფორმაცია დევს, როგორც ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია დოქტორანტების ხელმძღვანელებისათვის და არსებობს კონსულტაციის განყოფილება, რომელიც ემსახურება დოქტორანტურის პროგრამებს, სადაც ეს ინფორმაცია ავტომატურად მოიპოვება, ნებისმიერ მსურველს თავისი თემიდან/კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია კონკრეტულ პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვას, რაც გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის მიერ, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ძველ პროგრამაზე, ორმოცამდე დოქტორანტი იყო ჩართული კვლევით პროექტებში, ზოგი ანაზღაურებით, ზოგი ანაზღაურების გარეშე, აღნიშნული რეკომენდაციის განმარტებით ნაწილში წერია ერთ-ერთ პროექტზე, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან დაკავშირებით, რომ ეს პროექტი ძალიან აქტუალური და საინტერესო, თუმცა კარგი იქნებოდა პერსონალი, რომელიც პროექტში იყო ჩართული თვითშეფასების ჯგუფში ან პროგრამის განვითარების ჯგუფში ჩართულიყო.

მან წარადგინა სოფიო მიდელაშვილი, რომელიც თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრაზეც იმყოფებოდა, ის არის პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, სწორედ ის იყო ზემოაღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი და ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფშიც, რაც ოქმებითა და ბრძანებით დასტურდება. პროექტთან დაკავშირებით სასაუბროდ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, სოფიო მიდელაშვილს.

დაწესებულების წარმომადგენელი, სოფიო მიდელაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან პროექტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამეცნიერო პროექტები და საერთაშორისო აქტივობა ფაკულტეტის ძლიერი მხარეა, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციის ძლიერი მხარდაჭერით ხორციელდება, რისი ნათელი დადასტურებაც არის ბოსნია-ჰერცოგოვინას პროექტი, რომელიც დასრულდა და თვითონ იყო ხელმძღვანელი, კიდევ სამი პროფესორი იყო ჩართული და მეოთხე, ჯემალ გახოკიძე იყო მენტორი, ამასთანავე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ სოფიო მიდელაშვილი და ჯემალ გახოკიძე თვითშეფასების ჯგუფთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ, ივლისი-აგვისტოს განმავლობაში ყოველკვირეულად ჰქონდათ შეხვედრები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მსჯელობდნენ თითოეულ სტანდარტზე, აჯამებდნენ და ათანხმებდნენ მათ მუშაობას. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პროექტში ნამდვილად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელიც თვითშეფასების ჯგუფშიც იღებდნენ მონაწილეობას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარი ჯიქიამ დაამატა, რომ აკადემიურ პერსონალში არ არსებობს ერთი ადამიანიც კი, რომელიც არ არის ჩართული კვლევით პროექტებში მისი საკვლევი მიზნებიდან, კვლევის პრიორიტეტებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაგრძო რეკომენდაციების განხილვა:
რეკომენდაცია 10 - აუცილებელიახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეტი ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში - მისი თქმით ეს ნამდვილად არის ის რჩევა რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტთა ვიზიტამდეც, თვითშეფასებაზე მუშაობის პროცესსა და პროგრამის შედგენის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებენ. უნივერსიტეტში შესამჩნევად არის გაუმჯობესებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილ უფროსს ირმა ინაშვილსაც მიუძღვის წვლილი. დავით მახვილაძეც მთელი რესურსითა და ძალებით, საკმაოდ კვალიფიციური და რიცხობრივად შესაბამისი პერსონალით, ასევე ფაკულტეტებზე წარდგენილია, ის კვალიფიციური, მაგ., მარი ჯიქია არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაუმართლა იმაში, რომ ის მათთან მუშაობს. პრაქტიკულად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყველა მიმართულებით, ეს არ ეხება მხოლოდ პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის ადმინისტრირების საკითხს, ეს ეხება ყველა მიმართულებას, ინტერნაციონალიზაციასაც. სისტემა თავიდან ბოლომდე აგებულია, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული აღნიშნულ სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია არის სისტემის გამართული მუშაობა, ხოლო სისტემის დასაწყისში განიხილავენ, რექტორი, ყველა პირი, ყველა სტრუქტურული ერთეული და მმართველი სუბიექტი არის ჩართული ამ სტრუქტურაში და ამიტომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არ განიხილება ერთადერთ სუბიექტად, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა ამ მიმართულებაზე. მისი თქმით მათი საქმიანობა დაფუძნებულია იმ ღირებულებასა და გამოცდილებაზე, რასაც ეფუძნება განვითარებული ევროპა/დასავლეთი და დროის გათვალისწინებით ცდილობენ მიიღონ გაზომავდი შედეგები, თუმცა მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტში არსებობდა/არსებობს ყველა შესაძლებლობა და განხორციელებული აქტივობები იმისთვის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია გამოკვეთილი იყოს ნებისმიერ და მათ შორის აკრედიტაციის პროცესში.
მან განაცხადა, რომ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით აღარ ისაუბრებდა, რადგან საკამოდ დეტალურად ისაუბრეს ამ საკითხთან დაკავშირებით და დაამატა, რომ ის მინიმალური სამიზნე ნიშნულები, რაც ახალი სტატუსის მქონე პროგრამას შეიძლება ჰქონდეს, აქვთ და ამ ნიშნულებს მეტად გაამრავალფეროვნებენ და დახვეწენ პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე.
რეკომენდაცია 11 - აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. მოხდეს მათი კომპლექსურ, სისტემურ მექანიზმებად ჩამოყალიბება - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ეს მექანიზმები არსებობს, რომლებსაც გარკვეული სახეცვლილება განიცადა პანდემიამ, თუმცა ამაზე უნივერსიტეტი უარს არ ამბობს, პირიქით მიწოდებულია ამ მიმართულებით გაძლიერება/გამრავალფეროვნება და ვინაიდან პროგრამის აკრედიტაციაზე არის საუბარი, სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარი ჯიქიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს ძველი პროგრამა და ბოლო ორი წლის განმავლობაში, პანდემიამდე ფაკულტეტზე იყო პროექტი, რათა მომხდარიყო ფაკულტეტზე მიმდინარე პროგრამების მოდიფიცირება დამსაქმებელთა და სხვა ეკონომიკური აგენტების აზრის

გათვალისწინებით, იყო პროექტი „შეხვდი დამსაქმებელს“, რომელიც ორი წილის განმავლობაში მიმდინარეობდა და ფაკულტეტის წარმომადგენლობა ხვდებოდა როგორც კერძო, ასევე საჯარო უწყებების წარმომადგენლებს, შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არსებობს ფაკულტეტსა და ვებ-გვერდზე, სადაც ისინი პროგრამების მოდიფიცირებას, მათში სიახლეების შეტანას, მათში პრიორიტეტული თემების დასაბუთებას, დასახელებასა და განსჯას ემსახურებოდა, წარდგენილი იყო საგარეო საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა და უამრავი სხვა.
გარე შეფასებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ 2019 წლის ზაფხულში ჩამოსულები იყვნენ ერთ-ერთი უცხოური უნივერსიტეტის ამ მიმართულების სამი პროფესორი, რომლებთან ერთადაც ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, თუმცა აღნიშნული კონფერენციის მიღმა საუბარი იყო თუ რა ცვლილებები შეიძლებოდა განხორციელებულიყო პროგრამაში და რა სასურველი ელემენტების გათვალისწინება იყო ევროპულ სტანდარტთან მისაახლოებლად საჭირო.
მისი თქმით, დასკვნაში ეწერა, რომ გარე შეფასებები არ იყო წარმოდგენილი, თუმცა მან განმარტა, რომ სხვადასხვა უწყებებში წერილებიც კი იყო გაგზავნილი, რომელთა პასუხებიც მიიღეს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მათი ანალიზის საფუძველზე მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და მისი გაუმჯობესება.
რეკომენდაცია 12 - აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფილი გამოყენებისათვის საჭიროა სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების ჩატარება, მათი სისტემატიური მონიტორინგი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი ფუნქციაა, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დებულების მიხედვით სულ მცირე წელიწადში ორჯერ მაინც ხდება კურსდამთავრებულებსა და სტუდენტების გამოკითხვა არამარტო პროგრამასთან, არამედ სასწავლო პროცესთან მიმართებაში, ამასთანავე ხდება აკადემიური და განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევა, შემდეგ კი ამ შედეგების შეჯამება, ეს კონკრეტული მასალები არსებობს ძველ პროგრამასთან მიმართებით, ბოლო ოქმები არის 2020 წლის ზაფხულში სანამ დამთავრდებოდა ძველ პროგრამაზე მუშაობა, თუმცა რადგან პროგრამა წარდგენილია ახალი სტატუსით, ეს დოკუმენტაცია არ იყო წარდგენილი, საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია გადაგზავნა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ მათ ამოწურეს რეკომენდაციების ჭრილში საბჭოსთვის მისაწოდებელი ინფორმაცია.
მან გამოკითხვების საკითხზე დამატა, რომ აღნიშნულ ფაკულტეტზე არა მხოლოდ 3D-ში არის გაშუქებული სხვადასხვა მიმართულებები: განწყობები, კმაყოფილებები, პრობლემების მაიდენტიფიცირებელი გამოკითხვები, ამ ფაკულტეტთან მიმართებით საუბარი შესაძლებელია 7D-ზე, რადგან რეალურად გრძნობს ფაკულტეტი და მყისიერად რეაგირებს, სწორედ ის მოთხოვნადობა, ყოველდღიური და განვითარების საკმაოდ მძლავრი ნაბიჯების წინაპირობას სწორედ ეს წარმოადგენს, გარდა ამისა უნივერსიტეტმა დამატებითი მიმართულება შექმნა ამისთვის, მან მინიმუმამდე დაიყვანა ქაღალდზე ნაბეჭდი ვერსიები, რაც პანდემიამდე, თებერვალში დაწყებული პროცესია, უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელის პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამაა, როგორც სასწავლო, ასევე ხარისხის კუთხით და ძალიან მალე „სოფტის“ საშუალებით იქნება შესაძლებელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა, აღნიშნული „სოფტი“ საკმაოდ ძვირადღირებულია და დაწესებულების სპეციალისტებმა ჩააშენეს დამატებითი ფუნქციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს მოსმენისათვის და ექსპერტებს სრულყოფილი დასკვნისთვის. მან უნივერსიტეტის წარმომადგენლების სახელით მზადყოფნა გამოთქვა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირაკლი მანველიძეს სურდა თუ არა რაიმეს დამატება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირაკლი მანველიძემ განაცხადა, რომ მოისმინეს უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებები და გაეცნენ არგუმენტირებულ პოზიციას, დაწესებულების წარმომადგენლებმა იგივე გაიმეორეს სხდომაზეც, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციებთან დაკავშირებით იგივე პოზიციაზე დარჩა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს,რომ გაეცნო მათ რეკომენდაციებს და სურს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განმარტონ 2.2 კომპონენტში არსებული წინადადების შინაარსი: „პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს იმ საგანამანთლებლო შედეგებზე გასვლას, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული“, იგივე ქვესტანდარტში ასევე წერია: „პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა არ არის შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას“, აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. იგივე 2.3 კომპონენტშ, რომელიც, ასევე, შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, სადაც წერია: „სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას დოქტორონატისათვის დარგის ფუნდამენტური ცოდნის მიცემის მიმართულებით“, აქ გადაფარვებზე და შეფასებებზე დაწესებულებამ ისაუბრა, თუმცა საბჭოს წევრის კითხვა არის შემდეგი, თუ ასეთ ქვესტანდარტებში, როგორიცაა „პროგრამის სტრუქტურა“ და ა.შ. აღინიშნება, რომ პროგრამის შინაარსი/სტრუქტურა არ არის შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მაშინ რატომ არის აღნიშნული ქვესტანდარტი „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ და ზოგადად ამ კომენტართან დაკავშირებით სურს მიიღოს განმარტება ექსპერტთა ჯგუფისგან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირაკლი მანველიძემ განმარტა, რომ „მეტწილად შესაბამისი სტანდარტთან“ განაპირობა გარემოებამ, რომ რადგან „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს“ სამი მთავარი განმსაზღვრელი ელემენტი აქვს, ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ის ერთ მთავარ განმსაზღვრელ ელემენტში ვერ პასუხობდა მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნდა შეფასებულიყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი სტანდარტთან“. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეფასებას აკეთებს იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელიც წარდგენილია, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამასა და წარდგენილ კურიკულუმის რუკას, რადაც ნაჩვენებია სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება, მაგ., ცოდნა და გაცნობიერების მიმართულებაში წერია, რომ სავალდებულო სასწავლო კომპონენტებიდან ამ კომპეტენციის განვითარებას ხელს უწყობს სასწავლო კურსი „შესავალი კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთოებებში“, აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და შედეგების გაცნობამ ექსპერტთა ჯგუფს ვერ მისცა იმის სურათი, რომ ეთქვათ აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნულ კომპეტენციას.
საბჭოს წევრმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა მოკლედ ეპასუხათ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა იყო თუ არა შესაბამისი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფდა თუ არა შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ აღნიშნული აქვთ, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება, თუმცა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო აკრედიტაციის საბჭოა და შესაძლებელია იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32
დასრულების დრო: 18:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზედაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მე-5 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და 1 წელში მონიტორინგის განხორციელებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტება.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მის მიზნებთან.ასევე, პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კურსები, იყოს ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში.
3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად, ძირითადად, გამოყენებულ იქნას მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ავთენტური წყაროები.
4. აუცილებელია, რომ მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (სავალდებულო); ბ) კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში (სავალდებულო) და გ) სწავლების მეთოდები (სავალდებულო). სამეცნიერო კვლევის პროექტები -(არჩევითი).
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსი “საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები”, შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს სასწავლო კურსის სწავლების მიზანთან და სწავლის შედეგებთან. გადაიხედოს კურსი ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსსა და სწავლების საფეხურთან. სასურველია გადაიხედოს კურსი “საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები (ქართული)”.
6. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აღნიშნული დარგის კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა გაუმჯობესდეს დოქტორანტების ხელმძღვანელობის და

დისერტაციების კვლევითი მეთოდოლოგიის ხარისხი. რეკომენდირებულია დოქტორანტების ხელმძღვანელებს ქონდეთ დარგობრივი კვლევის გამოცდილება.
7. რეკომენდირებულია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების ეფექტური მექანიზმის შემუშავება და დანერგვა.

რჩევები ასე ჩამოყალიბდა:

1. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.
2. სასურველია მკაფიოდ გაიწეროს ჩარიცხვის წინაპირობად მოთხოვნილი სადოქტორო ნაშრომის პროექტის მოთხოვნები და შესრულების სტანდარტები.
3. აუცილებელია უშუალოდ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში (წარდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე - სამეცნიერო პროექტების ანგარიში - ერთი ან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში, მიიღო მონაწილეობა ღონისძიებების უმეტესობაში)
4. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა გაზრდა პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში.
5. სასურველია შრომის ბაზრის კვლევა იყოს რელევანტური და ის განხორციელდეს კონკრეტული საგანამანთლებლო პროგრამის საჭიროების დადგენის აუცილებლობიდან გამომდინარე.
6. სასურველია სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით შეიქმნას დამატებითი მექანიზმები ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად.
7. მიზანშეწონილია, რომ სავალდებულო-არჩევითი კურსების სია გაფართოვდეს სხვა სასწავლო კურსებით, რომლებიც დოქტორანტებს გაუფართოვებს სამეცნიერო თვალსაწიერს.
8. სასურველია სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საგნის სპეციფიკა და რათა არ მოხდეს გადაფარვა, შეფასების მეთოდები ზუსტად იყოს მორგებული და გაწერილი იმ ცოდნის შეფასებაზე რომელიც დოქტორანტმა უნდა მიიღოს მოცემული კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე.
9. სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლაში თანამედროვე კვლევის მეთოდების/მიდგომების მხრივ, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომების, სტატიების და ა.შ. მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას.
10. საუსრველია გამოიკვეთს უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის პროგრესიის პერიოდული შეფასება და მოხდეს მისი ფორმალიზება, გაიწეროს შეფასების კონკრეტული მექანიზმი, ფორმა და შინაარსი.
11. სასურველია, პროექტების ანგარიშის მომზადების დროს დეტალური ინფორმაცია იყოს წარდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამისთვის შედეგების შესახებ კვლევითი საქმიანობის ეფექტური მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მიერ წარდგენილი ორი დოკუმენტის მიხედვით, ნათლად არ ჩანს კონკრეტული პროგრამის და ჩართული აკადემიური პაერსონალის წვლილი მის განხორციელებაში.
12. სასურველია, პროგრამის/ფაკულტეტის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული იქნას კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობაში დოქტორანტებთა სისტემატიური ჩართულობის მექნიზმი,

უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების ინფორმირება კვლევითი ინსტიტუტების დარგობრივი სპეციფიკის შესახებ, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინტეგრირება ფაკულტეტის და პროგრამის კვლევით პროცესში.

13. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფილი გამოყენებისათვის საჭიროა სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების ჩატარება, მათი სისტემატიური მონიტორინგი.
14. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების დახვეწა სადოქტორო პროგრამის სისტემატიური მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით.

გადაწყვეტილება:

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, , სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და 1 წელში მონიტორინგის განხორციელებით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:16 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა